41

# საქართველოს გაზეთი

მაისს იე დღესა ჩყით წელსა თბილისში.

15 1819

**Но. II.**

## სანკტპეტერბურღს

ყოვლადუმოწყალესად ჰბოძების კავალერი ორდენისა წმიდისა ანნას მეორისა ხარისხისა ალმასით მოოჭვილი განყოფილის საქართველოს კორპუსის დეჟურნის შტაბ-ოფიცერს ლეიბ გვარდიის გრენადერის პოლკის პოლკოვნიკს ნაუმოვს.

### უმაღლესი ბრძანება

მარტის ლ. რიცხვსა

ჰბოძების

განწესებულთა წელიწადთა სამსახურით შეს-რულებისათვს ქვეითს მხედრობაში ყაზანის პოლკის უნტერ ოფიცერს დეკტეროვს პრაპორში-კობა ტამანსკის გარნიზონის პოლკში.

განუკრძალდება ჰაემანი დათხოვნისა

ოყინერნის გარნიზონის შტაბს-კაპიტანს ხურცილოვს სნეულებისაგან განთავისუფლებისათვს ექვსი თვე.

მარტის ლა. რიცხვსა

დაინიშნებიან

ყოფილის ასტარხნის მაზრის არტილლერიის გარნიზონთ ნაჩალნიკი პოლკოვნიკი ბრილი სიბი-რის მაზრის არტილლერიის გარნიზონთ ნაჩალ-ნიკადვე.

თბილისის შინაგანის მცველის ბატალიონის მაიორი შმატკოვი მისვე ბატალიონის კომანდირად.

### გამოცხადებანი

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულნი მამულნი სყიდვის მოწადინის, რადგან ისინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვს დადებულნი არიან საკუერნოს გასასყიდად.

ა. ვენახი აზნაურის ფარსადან კვალიევისა გორის უეზდის სოფელს მელისთავს იმ ველში, რომელიც ჰმართებს მას გორელის ასატურა აქიმისა იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ივნისის მე. კ და კბ.

ბ. სამი წილი ვენახი ქვევრებით სურამელის სისია ელიაშვილისა გორის უეზდის სოფელს ცხინვალს იმ ველში, რომელიც ჰმართებს მას ცხინვალელისავე იაკობ მინაშეროვისა და მის მმებისა იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის მაისის ლ და ივნისის ივ და იდ.

გ. სახლი გორელის პეტრე ანდრონიკოვისა გო-

რის ქალაქში, იმ ველის ჭახუსის გასაცემად, რომელიც ჭმართებს მას გარდაცვალებულის ხომ-სის სვიმონ ისაიევისა, იმისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ივნისის ე, იდ და კ.

ამას გარდა.

დ. დაბარებულნი არიან ისინი, რომელთაც ვალი ჭმართებს თავის ნებით სიმძღვარს გარეთ წასულის თავადის მიხაილ შარვაშიძისა, და ან რომელთაც იმისი ჭმართებსთ, და თბილისში მცხოვრებნი თანიეზა ადურეამოვი და ნონია დოჩანოვი, რომელნიც არვიცით სად იმყოფებიან, ასე რომ ისინი გამოცხადდენ გორის უეზდის სუდში მომავალის თვე ივნისის ბ.

ე. საყოველთაოდ იცხადება პირველად ესე, რომ რომელთაც სურდესთ ერთის წლით ბაჟისა თავისის სამღებროებით იჯარით აღება, ისინი უნდა გამოცხადდენ მაისის ლ და ივნისის ვ და ი რიცხვებში. მეორედ, რომელთაც ჰსურდესთ მარილზედ წასვლა, ისინი უთუოდ უნდა შეიყარნენ სოფელს შულავერს ამთვის კე რიცხვამდის, და ქარავანბაშობის სახელოში დანიშნული არის თვით ის მოხელე, რომელიც წარსრულს წელიწადში იყო ამ საქმეზედ მოხმარებული სახელობ: კოლლეჟსკის ასესსორი ბურგუნოვი. და მესამედ სადაც გამოჩნდეს პაპუა გრიქუროვი, რომელიც თავის თავს ულისცისელს უმასის გამოიგზავნოს სუდისა და რასპრავის ექსპედიციაში განაჩენის მოსასმენათ იმ ოცდა ცხრას ოქროს საქმეზედ, რომელიც მას დაჰკარგვია აბანოში.

ვ. იცხადების ესეცა, რათა რომელთაც იცოდენ კანონიერად კითხვა და წერა რუსული და ჰსურდესთ სამსახურში ყოფნა ამ ჭმართებლობის უწყებასა შინა, ისინი გამოცხადდენ ოკრუჟნის ნაჩალნიკებთან ან სასამართლოებში, ვინაცა სად ემარჯვებოდეს და წარმოადგინონ აზნაურობასა ან მას ზედა, რომ ისინი იყვნენ კეთილ-შობილთ კაცთა ჩამომავლობისანი საბუთნი.

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან იცხადების ყოველგან საქართველოსა შინა.

ტფილისში თევზის მომკანნი შემოეგზავნენ გზაზედ უპირატესს მმართებელსა და მიართვეს საჩივარი იმათ ზედ, რომელნიც ართმევენ მათ თევზის ბაჟსა, და ამ საქმისგამო ქმნილის გამოძიებით აღმოჩნდა, რომ თავადთ ორბელიანთ სახლს ურთმევია ამ ჟამადმდე მათით თვს ბაჟი არა-თუ თევზიდამ, არამედ თითქმის საქონლიდამ, ცხვრიდამ, ძროხიდამ და მარილიდამ მმართებლობის უცნობელად და გამოუცხადებელად მისდამი ამის თანას ჯგუფისა სამართლისა, რომელსაცა სხვებრ ვერ შეეძლო და ვერ შეუძლიან ქონება თვისისა მალისა რუსეთის მმართებლობის ქვეშ, ამისთვს რომ საქართველოს უპირატეს მმართებელად ყოფილის გრაფის გუდოვიჩისაგან ჩ ყ ზ წელს მიცემულის წერილობითის ბრძანებით, რომელიცა დამტკიცებულ არს უმაღლესსა ნებასა ზედა, ბრძანებულ არს, რათა ღრმოკანი იგი, რომელნიცა არა შესრულან ჩ ყ გ წელსა საზოგადოსა განხილვასა შინა, დატკეცებულ იქმნენ თვინიერ განხილვისა; და ამის თვს უპირატესმა მმართებელმან ჰპოვა რა, რომელ ესრეთნი უკანონონი მოკრებანი კერძოობითთა კაცთაგან ბაჟთანი, რომელნიცა გარდა საზინისა არავის ეკუთვნიან, განადიდებენ ფასსა სიმძირესა, და მისდაცემენ წაღილსა მხოლოთა მცხოვრებთა საზრდოთ მოკანიდისა, რომელთაცა არა ჰსმევსთ არავითარიმე ბასი, წანადაუდევ ისპოლნიტელნის ექსპედიციასა, რათა მან გამოაცხადოს საქართველოს საზოგა-

ლობასა შინა, რომელ უკჳეთუ ვინმე კერძოთა კაცთაგანი ამ ჟამითგან გაჰბედავს მოკრებასა ვითარითამე სასარგებლოდ თჳსა ბაჟთასა, მაშინ იგი უთუოდ შეაჭრდენს თავსა თჳსსა უფიცხელესსა გარდახდევინებასა, ვითარცა დამარღვეველი საზოგადოსა წესისა და შემაწუხებელი ხალხისა.

აღინიშნება საგანთა, რომელთათჳს ბრძანებულ არს ხმარება ღერბის ქაღალდისა ჩვენებითა ფასთათა.

ა. დასაწერად კერძოობითთა ყოვლის გვარის არზათა, მისაცემელთა ყოველთა სამსჯავროთა, სასამართლოთა, მმართებელობითთა და საპოლიციოთა ადგილთა და პრიკაზსა შინა საზოგადოსა მიხედვისასა. ყოველისათჳს წარმოებისა კერძოობითთა, სადავოთა, სასამართლოთა და საპოლიციოთ საქმეთასა, გარდა საუფლოვნოთა. გარდაწყვეტილებითთა განაჩენთ პირთათჳს ამა საქმეთა ზედა, მისაცემელთა მოჩივართა და მოდავეთადმი პირველთა ადგილთა შინა, ესე იგი ოკრუჟნისა და უეზდის სასამართლოთაგან. არზათათჳს, მისაცემელთა უპირატესმმართებელისა და დეპარტამენტისა, ეგრეთვე ოკრუჟნის ნაჩალნიკთა, კომენდანტთა და პოლიცმეისტერთადმი კერძოობითთა სადავოთა და საპოლიციოთა საქმეთა ზედა. დასაწერად ყოვლის გვარისა მოწმობათა შობასა მონათვლისა და ამის მსგავსთა სამოქალაქოთა შეკრულებითთა წერილთა ზედა, რომელთაცა სასამართლოსა ადგილსა ანუ მმართებლობასა შინა წარადგენილყოფდნენ, მაუწყებელ გარდა მათი რომელთათჳს განწესებულ არს სხვის გვარის ღერბის ქაღალდი. აღსაწერად ნივთთა საზოგადოთა გასყიდვათა შინა და წიგნთა და რვეულთათჳს, რომელთაცა შინა შეიწერება საზოგადო გასყიდვა ორმოც და ათათი კაპეკი. ფურცელზედ შავი ფული.—

ბ. არზათა და სათხოვართა წერილთათჳს, მისაცემელთა მინისტერთ დეპარტამენტთა შინა მინისტრთა და უპირატესმმართებელთადმი სხვა და სხვათა წერილთაგან ყოვლისგვარისა კერძოობითთა საქმეთა ზედა. გარდაწყვეტილებითთა განაჩენთ პირთათჳს, სასამართლოთა და სადავოთა საქმეთა ზედა, მისაცემელთა მოჩივართა და მოდავეთადმი მეორეთა ადგილთა შინა, ესე იგი სულისა და რასპრავის ექსპედიციისაგან ამავე გვარისა ღერბის ქაღალდი ფორმისა თხელი მოიხმარებოდეს ვაჭრობითთა შეკრულებითთა წერილთა და საბუთთათჳს წარსაგზავნელთა უცხოთა ქვეყანათა შინა თჳთო რუბლი ფურცელზედ შავი ფული.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)

ჩერთული ამბავი.

სახელმწიფონი ესე არიან რა დაზავებულ, არა შეემთხვევიან დაბრკოლებასა თავით თჳსთასა; ხოლო შეკრულებისა მათისა განხსნად ფრიად ძნელ სადამე არს მისთჳს, რომელ დამარღვეველი ზავისა შეაჭრდენს თავსა თჳსსა პასუხისგებასა შინა წინაშე უძლიერესისა კერძოსა; და მაშასადამე პატივის მოყვარებასა არავითარიმე აქვს იმედოვნებაჲ წარმატებათა და კნინოდა არა ვითარითამე სახეთა ზედა ასალთადმი მოპოვებათა. ესრეთითა სახითა ბრძოლა მოაკლდა მოგებითითა თჳსთა ცთუნებათა; გარნა რათამცა იგი კვალად შეიქმნას ჩვეულებრივ მდგომარეობად, ამისთჳს სათანადო არს მიღებაჲ წინასწარგანზრახვისა უძლიერეს ჩვეულებითისა შემინებისათჳს მალთა და ღონეთა შინა ერთისა ვითარისამე დაზავებულთაგანისა სახელმწიფოსათასა, ანუ ჯერ არს, რათამცა ერთი სახელმწიფო მეისთანად მოუძლურდეს და მისდრკეს დაცემისადმი გინა უკანასკნელ, რათამცა ერთმან მათგანმან შეაერთოს რა ერთბამად მრავალნი სახელმწიფონი მტერისა სარისხისანი დაარღვიოს მასვე ჟამსა კავშირი და თანასწორი ზომაცა. აწცა ერისა ამათ წინასწარ განზრახვათასა არა მძლუმს ადვილ აღსრულებადყოფად, სხვებრ კვალთებაჲ მსგავსისადმი საგანისა მეისვე იქმნებოდამცა შენიშნულ, შექმნებოდამცა გამოცხადებულ და შეხვდებოდამცა ზღუდეთა დადგინებულთა საზოგადოთა სარგებლობათა მიერ. პოლიტიკებრი ზავი იყო შერყეულ ძლიერ ძლიერად, რომელ

არა რაჲ დაშთომილა დაფარული განსჯასა შინა ევროპიულთა საქმეთასა საკულმწიფოთა შორის; ყოველივე ცხად იქმნა, რაჲცა უწინარეს იყო არგოდა საიდუმლოთა სახლთა შინა დიპლომატიკიათასა. ქვეყანამდეთ რომელ დიდი ესე ცვლილებაჲ მარადის გარემოიქცევს უმეტესულსა და უზრუნველსა მპინარეობასა დიპლომატიკიასასა, რომელიცა ნებასჰსცემდა მეფეთა უმეტესთა საუკუნესა შინა აღსრულებულ ყოფად ზედა დასხმათა მხედრობათა და განყოფათა ქვეყანათათა, ესდენ წინააღმდეგელთა თანასწორისა ზომისათვს ევროპიისა. საქმე საკვირველი, გარნა ფრიადცა ნუგეშინისმცემელი კაცობრიობისათვს. აწცა ერთი სამფლობელოთ აქათგანი არა არწმუნებს განზრახვასა განდიდებად სამხედროთა ძალთა თჳსთა; წინააღმდეგ ერთი მათგანი შემამცირებელი მხედრობათა თჳსთა ზღვასა და ხმელისზედა, მიმცემელი განდიდებისა შინაგანისა არსებითისა ძალისა თჳსისასა. ანგლიამან უწინარეს ამის ორისა წლისა შეამცირა რა მხედრობაჲ თჳსი მრითელთა ნაწილისა, ნაცვლად განამრავლა მით შემწეობანი თჳსნი ნაწილსა შინა საზინისასა. ნიდერლანდის კოროლი უმეტეს შეუდგა მაგალითისა ამას. აწ არს იგიცა, რომელ სხვათაცა საკულმწიფოთა ევროპიისათა ჰსწადდეს ეგრეთვე შემცირება ტვირთისა განმლეველისა არსებითისა მათ ძალთასა; გარნა თანმეხამძღვრე სამფლობელოთა დაელდებს კეთილგონიერებასა ზედა შეკრულებასა, რათა მისის ... სხვებრ არა სხვებრ. არამედ სამხედროთა თანხმობითა და შეზომილთა თჳს ... კანონთაგამ, რომელნიცა ჯერ არიან, რათა იყვნენ წინასწარ დადგინებულნი.

შეუძლებელ არს არა შენიშნვად, რომელ ... დადგინებულებათა, და წარმატებანი მისნი დაამტკიცებენ, რათა მცირედ დაიწყუნარონ მოღვაწეობანი სამხედროსა სულისანი. ევროპამან ... სხვანი ... დამტკიცების. ერთობით ... სამართლიანი მართებულებისა ... კანონთა იქიდან ... მეცნიერებასა ... მართებულთა და მართლმსაჯულ-

-რისა თავისუფლებისამი. იმპერატორმა ალექსანდრემ საკეისრონთა სიტყვათა დაიმშნა სინამდვილე დადგინებულებისა მისგან მიცემულისა პოლშისა სამეფოსადმი. მან გამოაცხადა განზრახვა თჳსი სხვათაცა ზედა ნაწილთა ვრცელისა თჳსისა იმპერიისათა განვრცელებად კეთილის-ყოფილებათა წინაწარმოდგენილთა მმართებელობათათა; გარნა შორის დამნახველთან მზრუნველობამან მისმან განმართა თჳსებულნი რუსეთისა საუკუნოსადმი თავისუფალ-მოყვარებითნი მოგონებანი მის სინარნარისა, მის სიბრძნისამი, რომელთაგანცა კნინღა მარადის განაშორებდენ მათ ენებნი კაცობრივნი. სიტყვათა დიდისა ჩრდილოეთის ერთმთავრისათა ჰქონდან კნინღა ერთგვარი ძალი მას დიდსახსოვარსა თქმასათანა ფრანციის კოროლისასა, რომლითაცა იგი განმტკიცებდებს ერსა თჳსსა წარმჩუმდელთა კანონთაგან მომავალთა დაუსაბამოებისა მიერ თავისუფლობისადმი. მეფოთავსა იდენ ხოლსა არა ძალუძს ხილვად მრავალნებულისა საყვარულისა უეშმარიტთა საუკუნოსადმი პოლიტიკურისა თავისუფლებისათა, სიყვარულისა რომლითაცა აღვსებულ არიან გულნი ერთმთავრთანი. უკეთუ პრუსიამან ფევრალსა შინა გამოაცხადა, რომელ მისდა საჭირო არს დატევებაჲ ერთისა წელსა შესრულებისათჳს აღთქმულისა სამფლობელოთადმი თჳსთა დადგინებულებისა; ამისთჳს კეთილგონიერსა ამას დაყოვნებასა ძალუძს, რათა უცხოდ ეჩვენოს იგი მხოლოდ საშუალთა მათ გონებათა, რომელნიცა ჰფიქრობენ რა მხოლოდ შეკრულისა განრყვნილებათა და ბრძანებათა არა ნებავსთ ცნობაჲ არა რაჲსამე არცა ადგილობითითა გარემოებათათჳს, არცა სხვა და სხვათა ჩვეულებათა, არცალა სხვა და სხვა ხასიათითა ხარგებლობათათჳს და სრულიად არა რაჲსათჳსმე ყოფილისა მისგან, რაჲცა მოითხოვს რომელსამე ცვლილებასა, რომელსამე გამორიცხვასა საზოგადოთა სჯულთა შინა ესრეთისა საკულმწიფოისათა, ვითარიცა არს პრუსია, ესე იგი, რომელიცა შედგომილ არს მრავალთა სხვა და სხვა ერობითა პროვინციათაგან.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნების)